

Image not found or type unknown

## ძალადობის მსხვერპლი ქალის საქმე წარმატებით დასრულდა

საიას აჭარის ფილიალი იცავდა ქალის ინტერესებს, რომელიც ორი წლის განმავლობაში იყო სისტემატიური ძალადობის, დამცირების, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

2021 წლის 09 ნოემბერში, საიას დახმარებით, მსხვერპლ ქალს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი და მოძალადეს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცხრა სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (115-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმკვლელობამდე მიყვანა); 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება); 144<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა); 151<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით (ადევნება); 285-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება); 159-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა); 157<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა); 157<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ან/და გავრცელება მათ შორის, სოციალური ქსელის, მეშვეობით); 381<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით (შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა).

მიმდინარე წლის 06 აგვისტოს, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, სასამართლომ მოძალადე ყველა წარდგენილ ბრალდებაში ცნო დამნაშავედ, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 157<sup>1</sup> მუხლით წარდგენილი ბრალდებისა, რომელიც გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლზე (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა). სასამართლომ მოძალადეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

